

კავშირი მოგების გადასახადის კანონთან

2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვით, არსებული მოგების გადასახადი ჩანაცვლდება ე.წ. "განაწილებულ მოგებაზე გადასახადის" მოდელით, რომელიც ესტონური მოდელის მსგავსია.

კანონის მნიშვნელოვანი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ მოგების გადასახადით დაიბეგრება კომპანიების მიერ განაწილებული მოგება და განუული ხარჯები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული.

გასათვალისწინებელია, რომ მოგება განისაზღვრება ფასის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით. მჭიდრო კავშირი ამ ინიციატივასა და საქართველოს კანონს შორის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, ზრდის კომპანიების მომზადების მნიშვნელობას აღნიშნული ცვლილებებისთვის.

საკონტაქტო ინფორმაცია

ჯონ რობინსონი
გენერალური დირექტორი
ტელ.: +995 (32) 24 45 66 (5942)
johrobinson@deloitte.ge

შპს დელოიტი და ტუში
ლადო ასათიანის ქ. 36ა
თბილისი, 0105,
საქართველო

თამარ ნაცვლიშვილი
დირექტორი, აუდიტი
ტელ.: +995 (32) 24 45 66 (5946)
tnatsvlisvili@deloitte.ge

ტელ: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

www.iasplus.com

ვლადიმერ ყოჩიშვილი
მენეჯერი, აუდიტი
ტელ.: +995 (32) 24 45 66 (5935)
vkochishvili@deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცე ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცე ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებული როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

© 2016 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

Deloitte.



მნიშვნელოვანი სიახლეები
საქართველოს კანონი
ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ

2016 წლის ივნისში ხელი მოეწერა საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. გარდა ამისა, 2016 წლის მაისში საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

ეს ორი კანონი მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ბიზნეს გარემოზე საქართველოში, რადგან ორივე მათგანი დაკავშირებულია ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, მის გამოყენებასთან, გამოქვეყნებასა და ხელმისაწვდომობასთან ფართო საზოგადოებისათვის.

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საწარმოებს ყოფს 5 კატეგორიად. საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ ორ კრიტერიუმს, რათა მოხვდეს I-IV ზომით კატეგორიაში.

კატეგორია	სრული აქტივები (ლარი)	შემოსავლები (ლარი)	თანამშრომლები
I	> 50 მლნ	> 100 მლნ	> 250
II	< 50 მლნ	< 100 მლნ	< 250
III	< 10 მლნ	< 20 მლნ	< 50
IV	< 1 მლნ	< 2 მლნ	< 10

სდპ საზოგადოებრივი დაინტერესების პირები (სდპ), მათ შორის: საწარმოები, რომელთა ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია, კომერციული ბანკები და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო კომპანიები, არასახელმწიფო საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ფონდები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები და საქართველოს მთავრობის მიერ სდპ-ად განსაზღვრული სხვა პირები.

ჯგუფების ზომითი კატეგორიების მიხედვით დაყოფა ხორციელდება კონსოლიდირებული ფინანსური მონაცემების საფუძველზე, ზემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებით.

სავალდებულო ანგარიშგების მოთხოვნები

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოითხოვს, რომ ყველა საწარმომ, გარდა IV კატეგორიის საწარმოებისა, ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ფასს-ის შესაბამისად.

გარდა ამისა, ზოგიერთი საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

კატეგორია	ანგარიშგების სტანდარტები	აუდიტის ვალდებულება	მმართველობის ანგარიშგების მომზადების ვალდებულება	სრული ფინანსური ანგარიშგებისა და წარდგენის ვალდებულება
სდპ	ფასს*	დიახ	დიახ	დიახ
I	ფასს	დიახ	დიახ	დიახ
II	მსს ფასს** (ნებაყოფლობითი – ფასს)	დიახ	დიახ	დიახ
III	მსს ფასს (ნებაყოფლობითი – ფასს)	არა	არა	დიახ
IV	ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრული (ნებაყოფლობითი – მსს ფასს)	არა	არა	დიახ

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სდპ და I კატეგორიის საწარმოები, რომელთა საქმიანობაც მოიცავს ნავთობისა და გაზის მოპოვებას ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას, ვალდებული არიან ყოველწლიურად მოამზადონ და წარადგინონ სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება.

* ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს).
 ** მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (მსს ფასს).

გარდამავალი ვადები

I,II, და სდპ კატეგორიის საწარმოებს, რომელთა სააღრიცხვო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, მოეთხოვებათ მოამზადონ ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის. ასევე მათ მოეთხოვებათ უზრუნველყონ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ამავე პერიოდისათვის.

